



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 2 20 0000628702



23/07/2020

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 27-ე მუხლის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლისა და 32-ე მუხლის, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს გამარტივებული კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ოდენობით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
4. დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.
7. დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - ა) მინიმალური განათლება - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული;

ბ) არანაკლებ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება განათლების სფეროში, საჯარო სექტორში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე არანაკლებ 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა;

დ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) საკუთარი და სხვების საქმიანობის კოორდინაცია, შეფასება და განვითარება;

ბ) სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნება;

გ) ანალიტიკური აზროვნება;

დ) ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესების ანალიზი;

ე) გუნდის განვითარება;

ვ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.

9. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

ზ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

თ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

ი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

10. ცენტრის დირექტორის მოადგილის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ცენტრის მიზნების განხორციელების ხელშეწყობა დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის გზით, რაც გულისხმობს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საერთო კოორდინაციას, სამუშაოს დაგეგმვის, სამუშაოს შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსული კორესპონდენციების განაწილება და კორესპონდენციებში დასმულ საკითხებზე გადაწყვეტილებების დროულად მიღების უზრუნველყოფა;

გ) კორესპონდენციებზე, ხელშეკრულებებსა და სხვა ტიპის დოკუმენტაციაზე ხელმოწერა, რომელთა ხელმოწერის უფლებამოსილება პირდაპირ არის გათვალისწინებული ცენტრის თანამშრომელთათვის უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

დ) ცენტრის განვითარებისათვის მიმართულ პროექტებში მონაწილეობა;

ე) ცენტრის დირექტორის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

11. დირექტორის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:

ა) ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და სავალდებულო დოკუმენტაცია წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge);

ბ) შესაბამის ველში ატვირთოს დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობისთვის ამ ბრძანების მე-7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი მინიმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, კანდიდატის მოტივაციისა და სამომავლო ხედვების გათვალისწინებით.

12. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

13. ცენტრის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

14. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა, კონკურსში მონაწილე კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა, განაცხადების გადარჩევის შედეგების შესაბამისად შერჩეულ კანდიდატებთან ცენტრის დირექტორის მიერ გასაუბრების ჩატარების უზრუნველყოფა და კონკურსის შედეგების შესახებ საერთო ოქმის შედგენა.

15. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

16. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

